ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4185067

ნომერი: AR1631183

თარიღი : 17.09.2018

გაცემის თარიღი : 24.09.2018

გაცნობის თარიღი : 24.09.2018

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფალიაშვილი , N 65;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ილია ჯიქია პ/ნ 62001038463
- თბილისი, დოლიძის 10

ორგანიზაცია:
- შპს დემორი კოდი: 405028018

ნომენკლატურა :

- განხორციელებული მშენებლობის დადასტურება
- IV კლასის ობიექტი

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2289638
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 11.11.2015

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი და "მშენებლობის ნებართვის გაცემისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, რომელშიც დაფიქსირდა ხარვეზები, კერძოდ:

1. არ დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება. საჭიროა წარმოდგენილი იქნას უფლებამოსილების დამადასტურებელი დოკუმენტი ან უფლებამოსილი პირი დარეგისტრირდეს თანაგანმცხადებლად.

2. ,,6-1" ფასადზე აივნის ძირები მოსაპირკეთებელია. ავტოსადგომის სართულებზე გაზრდილია პანდუსის დახრის პროცენტი. ,,6-1" ფასადის მხარეს მოწყობილია ბაქანი, რის გამოც შემცირებულია გამწვანების ფართი. ასევე ფიქსირდება, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში დამკვეთის მიერ არ არის წარდგენილი სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი/ქვითარი.

დაასრულეთ სამშენებლო სამუშაოები, წარმოაგდინეთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ დამოწმებული ანაზომი ნახაზები გამწვანების და პანდუსის გაბარიტული დატანით, დაიცავით დადგენილი დადგენილი სამშენებლო ნორმები. წარმოადგინეთ სამშენებლო დოკუმენტის დარღვევით ნაწარმოები მშენებლობის საექსპერტო კონსტრუქციული დასკვნა დამოწმებული ექსპერტის მიერ. ასევე საჭიროა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურში წარადგინოთ სპეციალური (ზონალური) მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი/ქვითარი. აღნიშნული დარღვევების გამოსწორების შემთხვევაში წარმოადგინეთ ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტი დარღვევების გამოსწორებასთან დაკავშირებით.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.
- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.